საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1084

13/11/2019

ქ. თბილისი

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში შპს „მედიკალ ტექნოლოგის“ ნარჩენების (ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების, ელექტროპლატების, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების, კაბელების, ლითიუმის შემცველი აკუმულატორების) გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში შპს „მედიკალ ტექნოლოგის“ ნარჩენების (ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების, ელექტროპლატების, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების, კაბელების, ლითიუმის შემცველი აკუმულატორების) გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N 109 (12.11.2019წ.);
2. შპს ,,მედიკალ ტექნოლოგმა'' სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N 109 (12.11.2019წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,მედიკალ ტექნოლოგს'';
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,მედიკალ ტექნოლოგის'' მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი